

ვისოლი

WISSOL

ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა..... 3

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება:

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება..... 6
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება 7
 კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება 9
 ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება 10

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია 11
2. მომზადების საფუძვლები 12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები 14
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 16
5. შემოსავალი 20
6. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 20
7. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები 20
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 20
9. სხვა შემოსავალი 21
10. წმინდა მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან 21
11. წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან 21
12. ფინანსური ხარჯი 21
13. ძირითადი საშუალებები 22
14. საინვესტიციო ქონება 24
15. იჯარები 25
16. ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში 25
17. მარაგები 26
18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 26
19. ფული და ფულის ეკვივალენტები 26
20. სააქციო კაპიტალი 27
21. მიღებული სესხები 27
22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 27
23. მიღებული ავანსები 28
24. პირობითი ვალდებულებები 28
25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 28
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 29
27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები 29

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება:

- I. საქმიანობის მიმოხილვა 36
- II. განვითარების გეგმები 36
- III. კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა 36
- IV. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ 36
- V. ფინანსური და არაფინანსური საოპერაციო მაჩვენებლები 36
- VI. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით 39
- VII. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შექმნა 39
- VIII. სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული და საოპერაციო რისკები 39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ მოსაზრება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე მოდიფიცირებულია, რადგან ადგილი ჰქონდა უძრავი ქონების ბაზარზე ღირებულებების მნიშვნელოვან ზრდას, რაც გავლენას ახდენს ჯგუფის/კომპანიის მიერ ფლობილ გადაფასებას დაქვემდებარებულ მიწის ნაკვეთების სამართლიან ღირებულებაზე, რაც კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული არ იყო ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ვინაიდან აქტივების საწყისი ნაშთი გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ოპერაციების შედეგების განსაზღვრაზე, ჩვენ ვერ დავადგინეთ, აუცილებელია თუ არა 2023 წლის ოპერაციების შედეგებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთის კორექტირება. შესაბამისად, ჩვენ აუდიტორული მოსაზრება მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მოდიფიცირებულია, ამ საკითხის შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ოპერაციების შედეგზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან/კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს



ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის/კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის/კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვეგმაგვთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის/კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის/კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი/კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის/კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2023 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის/კომპანიის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრეობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

20 აგვისტო, 2024

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი/კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის/კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2023 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების მოამზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის/კომპანიის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

20 აგვისტო, 2024

ჯგუფი ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2023	2022	2023	2022
ამონაგები	5	642,156	681,440	622,895	663,853
გაციდული პროდუქციის თვითღირებულება	6	(557,083)	(624,766)	(541,087)	(610,542)
საერთო მოგება		85,073	56,674	81,808	53,311
გაციდვის და მიწოდების ხარჯები	7	(33,591)	(29,325)	(31,919)	(29,748)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(29,283)	(25,533)	(28,523)	(22,773)
სხვა შემოსავალი	9	8,699	8,167	9,076	11,307
სხვა ხარჯი		(2,023)	(3,292)	(1,467)	(1,890)
წმინდა მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან	10	(10,707)	40,478	(10,707)	40,478
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება		5,975	1,912	5,908	(752)
წმინდა მოგება გრძელვადიანი აქტივების გადაფასებიდან	13, 14	19,197	-	19,197	-
სხვა კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის გაუფასურება		-	-	-	(2,853)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	11	(884)	13,248	(717)	13,125
ფინანსური შემოსავალი		996	457	1,041	469
ფინანსური ხარჯი	12	(8,594)	(9,287)	(8,705)	(9,508)
მოგება დაბეგრამდე		34,858	53,499	34,992	51,166
მოგების გადასახადი		(52)	(52)	-	-
წმინდა მოგება		34,806	53,447	34,992	51,166
სხვა სრული შემოსავალი	13	49,234	-	49,234	-
სულ სრული შემოსავალი		84,040	53,447	84,226	51,166
სულ მოგება განეკუთვნება:					
ჯგუფის აქციონერები		34,515	53,156		
არამაკონტროლებელი წილი		291	291		
სულ სრული შემოსავალი განეკუთვნება:					
ჯგუფის აქციონერები		83,749	53,156		
არამაკონტროლებელი წილი		291	291		

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 20 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ ვასილი ხორავა

ფინანსური დირექტორი _____ გიორგი ციმაკურიძე

11-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ჯგუფი ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2023	2022	2023	2022
ამონაგები	5	642,156	681,440	622,895	663,853
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	6	(557,083)	(624,766)	(541,087)	(610,542)
საერთო მოგება		85,073	56,674	81,808	53,311
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	7	(33,591)	(29,325)	(31,919)	(29,748)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(29,283)	(25,533)	(28,523)	(22,773)
სხვა შემოსავალი	9	8,699	8,167	9,076	11,307
სხვა ხარჯი		(2,023)	(3,292)	(1,467)	(1,890)
წმინდა მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან	10	(10,707)	40,478	(10,707)	40,478
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება		5,975	1,912	5,908	(752)
წმინდა მოგება გრძელვადიანი აქტივების გადაფასებიდან	13, 14	19,197	-	19,197	-
სხვა კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის გაუფასურება		-	-	-	(2,853)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	11	(884)	13,248	(717)	13,125
ფინანსური შემოსავალი		996	457	1,041	469
ფინანსური ხარჯი	12	(8,594)	(9,287)	(8,705)	(9,508)
მოგება დაზღვევამდე		34,858	53,499	34,992	51,166
მოგების გადასახადი		(52)	(52)	-	-
წმინდა მოგება		34,806	53,447	34,992	51,166
სხვა სრული შემოსავალი	13	49,234	-	49,234	-
სულ სრული შემოსავალი		84,040	53,447	84,226	51,166
სულ მოგება განეკუთვნება:					
ჯგუფის აქციონერები		34,515	53,156		
არამაკონტროლებელი წილი		291	291		
სულ სრული შემოსავალი განეკუთვნება:					
ჯგუფის აქციონერები		83,749	53,156		
არამაკონტროლებელი წილი		291	291		

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 20 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ ვასილი ხორავა

ფინანსური დირექტორი _____ გიორგი ციმაკურიძე

11-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ჯგუფი ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	13	160,528	113,440	158,371	111,738
საინვესტიციო ქონება	14	60,674	68,202	60,674	68,202
აქტივის გამოყენების უფლება	15	11,593	9,811	12,525	9,543
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	16	-	-	15,706	16,209
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	16	826	826	620	620
გაცემული სესხები		-	3,661	-	3,661
სხვა აქტივები		1,874	1,328	1,787	1,312
		235,495	197,268	249,683	211,285
მოკლევადიანი აქტივები					
მარაგები	17	57,266	49,814	50,460	42,631
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	919	-	991
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	18,745	15,980	16,877	14,221
მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები		5,259	6,167	4,272	5,276
გაცემული სესხები		735	2	732	869
ფული და ფულის ეკვივალენტები	19	29,368	15,423	28,357	15,074
		111,373	88,305	100,698	79,062
სულ აქტივები		346,868	285,573	350,381	290,347

11-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ჯგუფი ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები					
აქციონერთა კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი	20	17,212	22,134	17,212	22,134
აქტივების გადაფასების რეზერვი		103,383	51,084	103,116	50,817
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		82,034	50,584	88,930	57,003
სულ აქციონერთა კაპიტალი		202,629	123,802	209,258	129,954
არამაკონტროლებელი წილი		582	585		
სულ კაპიტალი		203,211	124,387		
გრძელვადიანი ვალდებულებები					
მიღებული სესხები	21	34,442	-	33,696	-
საიჯარო ვალდებულებები	15	10,312	10,538	12,456	11,541
სხვა იჯარის ვალდებულება		3,325	3,676	3,325	3,676
გადავადებული შემოსავალი		1,181	1,300	1,181	1,301
		49,260	15,514	50,658	16,518
მიმდინარე ვალდებულებები					
მიღებული სესხები	21	51,861	79,043	50,113	78,468
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	21,174	47,154	19,277	46,115
საიჯარო ვალდებულებები	15	1,406	1,235	1,250	1,135
მიღებული ავანსები	23	16,340	16,337	16,341	16,281
საგადასახადო ვალდებულებები		2,566	-	2,469	-
გადავადებული შემოსავალი		120	120	120	120
სხვა იჯარის ვალდებულება		334	310	334	310
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		596	1,473	561	1,446
		94,397	145,672	90,465	143,875
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		346,868	285,573	350,381	290,347

11-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ჯგუფი ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



ჯგუფი	სააქციო კაპიტალი	ქონების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021	22,692	60,110	(11,598)	71,204	593	71,797
წლის სრული შემოსავალი	-	-	53,156	53,156	291	53,447
წლის განმავლობაში შეძენილი საკუთარი აქციები	(558)	-	-	(558)	-	(558)
გასული აქტივების გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	(9,026)	9,026	-	-	-
გაცემული დივიდენდი *	-	-	-	-	(299)	(299)
31 დეკემბერი 2022	22,134	51,084	50,584	123,802	585	124,387
წლის სრული შემოსავალი	-	49,234	34,515	83,749	291	84,040
წლის განმავლობაში შეძენილი საკუთარი აქციები	(4,922)	-	-	(4,922)	-	(4,922)
გასული აქტივების გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	3,065	(3,065)	-	-	-
გაცემული დივიდენდი *	-	-	-	-	(294)	(294)
31 დეკემბერი 2023	17,212	103,383	82,034	202,629	582	203,211

*სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის დივიდენდები არ გამოუცხადებია, ხოლო მისმა შვილობილმა კომპანიამ შპს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია-ვაკემ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს გადაუხადა დივიდენდები შესაბამისად 294 და 299 ათასი ლარის ოდენობით.

კომპანია	სააქციო კაპიტალი	ქონების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ
31 დეკემბერი 2021	22,692	59,843	(3,189)	79,346
წლის სრული შემოსავალი	-	-	51,166	51,166
წლის განმავლობაში შეძენილი საკუთარი აქციები	(558)	-	-	(558)
გასული აქტივების გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	(9,026)	9,026	-
31 დეკემბერი 2022	22,134	50,817	57,003	129,954
წლის სრული შემოსავალი	-	49,234	34,992	84,226
წლის განმავლობაში შეძენილი საკუთარი აქციები	(4,922)	-	-	(4,922)
გასული აქტივების გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	3,065	(3,065)	-
31 დეკემბერი 2022	17,212	103,116	88,930	209,258

11-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ჯგუფი ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება



2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2023	2022	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან					
მოგება დაბეგვრამდე		34,858	53,499	34,992	51,166
კორექტირებები:					
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		7,078	7,551	7,198	7,551
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება		(5,975)	(1,912)	(5,908)	752
სხვა კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის გაუფასურება		-	-	-	2,853
წმინდა მოგება გრძელვადიანი აქტივების გადაფასებიდან		(19,197)	-	(19,197)	-
მოგება იჯარების ცვლილებიდან და გაუქმებიდან	15	(2,024)	(1,059)	(2,099)	(990)
წმინდა (მოგება)/ზარალი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან	10	10,707	(40,478)	10,707	(40,478)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	11	884	(13,248)	717	(13,125)
ფინანსური შემოსავალი		(996)	(457)	(1,041)	(469)
ფინანსური ხარჯები	12	8,594	9,287	8,705	9,508
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		33,929	13,183	34,074	16,768
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		3,810	(4,178)	3,892	(6,482)
გადახდილი ავანსების (ზრდა)/შემცირება		908	(2,614)	1,004	(3,606)
მარაგების ზრდა		(5,253)	(1,560)	(5,630)	(1,407)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		3,433	(2,704)	3,460	(2,509)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(22,523)	15,160	(25,536)	15,644
მიღებულ ავანსების ზრდა		3	1,743	60	1,667
გადავადებული შემოსავლის შემცირება		(119)	(120)	(120)	(119)
სხვა მიმდინარე ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(877)	1,220	(885)	1,228
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		13,311	20,130	10,319	21,184
გადახდილი პროცენტები		(8,650)	(9,466)	(8,747)	(9,651)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		4,661	10,664	1,572	11,533
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან					
გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან მიღებული ფულადი სახსრები		21,578	1,932	21,574	1,921
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა		(11,404)	(18,000)	(10,747)	(17,607)
ფულის გადინება სესხებზე		(2,351)	(8,318)	(2,351)	(10,118)
გაცემული სესხების დაფარვა		5,090	19,101	5,961	7,281
სხვა აქტივების შესყიდვა		(654)	(161)	(753)	(134)
მიღებული პროცენტი		700	91	745	83
შვილობილში საწესდებო კაპიტალის შემცირება		-	-	506	9,681
წილი მეკავშირე საწარმოს პერიოდის მოგებიდან	9	30	34	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		12,989	(5,321)	14,933	(8,893)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან					
სესხების აღება	21	153,543	183,589	151,126	183,606
სესხების დაფარვა	21	(149,628)	(173,244)	(146,624)	(171,117)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(998)	(1,176)	(1,493)	(1,111)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა		(4,922)	(558)	(4,922)	(558)
დივიდენდი არამაკონტროლებელ წილზე		(294)	(299)	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(2,299)	8,312	(1,913)	10,820
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		15,351	13,655	14,594	13,460
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19	15,423	2,802	15,074	2,467
კურსთამორისი სხვაობის გავლენა	11	(1,406)	(1,034)	(1,311)	(853)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	19	29,368	15,423	28,357	15,074

11-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის დახურული სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს მიერ და დაფუძნდა საქართველოში 2000 წელს, როგორც შპს „კანარგო სტანდარტ ოილ პროდაქტსი“ ბრენდირებული სასურსათო მალაზიებითა და ავტოსამრეცხაო ცენტრებით აღჭურვილი ბენზინგასამართი სადგურების პრემიუმ-ქსელის შექმნის მიზნით. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 202161098, იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზ., №74ბ.

ჯგუფის/კომპანიის გენერალური დირექტორია ვასილი ხორავა.

2023 წლის ბოლოსათვის სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია ექსპლუატაციას უწევდა 119 სადგურს: 118 ბენზინგასამართ სადგურს (მათგან 79 კუთვნილს, 38 იჯარით აღებული და 1 შვილობილისგან იჯარით აღებული), რომელთაგან 10 არის კომბინირებული ბენზინის და გაზის სადგური, ხოლო 1 - მხოლოდ გაზგასამართი სადგური (საკუთარი).

ჯგუფი ოპერირებს როგორც საცალო, აგრეთვე საბითუმო სეგმენტში. კომპანია არის შემდეგი შვილობილი კომპანიების დამფუძნებელი:

კომპანია	ქვეყანა	ფლობილი წილი (%)		საქმიანობა
		2023	2022	
შპს „ვისოლ ავტო ექსპრესი“ (ს/კ 404878806)	საქართველო	100%	100%	ავტოსახარჯი მასალები
შპს „ვისოლი-ყოჩები“ (ს/კ 205256104)	საქართველო	100%	100%	რაგბის გუნდი (უმოქმედო)
შპს „ერთობა 2018“ (ს/კ 405255753)	საქართველო	100%	100%	მეკავშირე მხარეზე გაცემული სესხები
შპს „შპს კანარგო სტანდარტ ოილ პროდაქტი-ჩუღურეთი“ (ს/კ 202200000)	საქართველო	51%	51%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება (უმოქმედო)
შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია-ვაკე“ (ს/კ 204986701)	საქართველო	50%	50%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს „ჯაჭვის ხიდი“ (ს/კ 212670830)	საქართველო	40%	40%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს „ვისოლ ჯგუფი“ (ს/კ 404977085)	საქართველო	33.5%	33.5%	სარეკლამო მომსახურება

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის/კომპანიის მფლობელები და მათი კუთვნილი პირდაპირ ფლობილი წილები იყო:

კომპანია	ქვეყანა	2023	2022	საბოლოო მფლობელი (წილი)
"ჰელვეცია პეტროლიუმ ჰოლდინგი ბ.ვ"	მალტა	25.00%	25.00%	გიორგი რამიშვილი - 62% ალექსი თოფურია - 28.5% დევიდ ბორგერი - 9.5%
"გლობალ ინვესტორს ლიმიტედი"	მალტა	61.96%	61.96%	სამსონ ფხაკაძე - 50% ლევან ფხაკაძე - 50%
შპს "სტანდარტ ოილ ჰოლდინგი"	საქართველო	10.86%	10.86%	ნუგზარ აბრამიშვილი - 58% (76% - 2022-ში) ლევან ფხაკაძე - 42% (24% 2022-ში)
ფ/პ ლევან ფხაკაძე	საქართველო	2.18%	2.18%	
		100%	100%	

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის/კომპანიის სხვადასხვა მაკონტროლებელი მხარის მიერ ფლობილი ეფექტური წილები იყო:

საბოლოო მფლობელი:	2023	2022
ლევან ფხაკაძე	37.77%	35.77%
სამსონ ფხაკაძე	30.98%	30.98%
გიორგი რამიშვილი	15.50%	15.50%
ნუგზარ აბრამიშვილი	6.25%	8.25%
ალექსი თოფურია	7.12%	7.12%
დევიდ ბორგერი	2.38%	2.38%
	100.00%	100.00%

მფლობელთა ეფექტური ხმის უფლებები მათი ეფექტური ფლობილი წილებისგან არ განსხვავდება.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესში ჯგუფი/კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესში ჯგუფი/კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა საინვესტიციო ქონების და ძირითადი საშუალებების გარკვეული ჯგუფებისა, რომლებიც მოცემულია გადაფასებული ღირებულებით, სტანდარტების ბასს 40 „საინვესტიციო ქონება“ და ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“ შესაბამისად.

ჯგუფის/კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი/კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებად პროგნოზირებად მომავალში, რაც გულისხმობს იმას, რომ ის განჭვრეტად მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის მიმდინარეობისას. ამ დაშვების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფის/კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მოგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა. მან აგრეთვე გაანალიზა ჯგუფის/კომპანიის ოპერაციებზე ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზემოქმედება.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომჟღავნებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, ბუღალტრული აღრიცხვის - იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით.

გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიწოდების ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბასს 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგნდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება. შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვადიანობის კლასიფიკაციის მიზნით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში.

შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი აღნიშნულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

ამჟამად, ჯგუფი/კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ინდივიდუალურ/კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სხვა

ჯგუფს/კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ინდივიდუალურ/კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი/კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და სხვა აქტივების სასარგებლო-მომსახურების ვადები

ჯგუფი/კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და სხვა აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს/კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გადაფასება

ძირითადი საშუალებების გარკვეული ჯგუფები (მიწა და შენობა-ნაგებობები) აისახება გადაფასებული ღირებულებით, ხოლო საინვესტიციო ქონება ფასდება სამართლიანი ღირებულებით. ბოლო შეფასება ჩატარდა 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით ხელმძღვანელობის მხრიდან. შეფასება განხორციელდა საბაზრო და დანახარჯების მიდგომის გამოყენებით.

შეფასება აუცილებელია ტარდებოდეს საკმარისი სიხშირით, რათა აქტივების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდეს მათი რეალური ღირებულებისაგან. ხელმძღვანელობა მუდმივად აკვირდება საბაზრო მონაცემებს და აანალიზებს ნებისმიერ მნიშვნელოვან ცვლილებას აქტივების რეალურ ღირებულებაში.

იჯარა

ჯგუფი/კომპანია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი/კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები. ჯგუფი/კომპანია იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის მახასიათებლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი/კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა საცალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოვლის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი საკრედიტო დანაკარგებისთვის, რომელთათვის საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება იმ დეფოლტის მოვლენების შედეგად, რომლებიც შესაძლოა მოხდეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, დანაკარგების რეზერვის შექმნა აუცილებელია კრედიტის დარჩენილი ვადის განმავლობაში, დეფოლტის დროის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის არსებობის მანძილზე). ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საწყისი აღიარების თარიღებში საკრედიტო რისკის განსაზღვრა დიდ ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განისაზღვრა სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე, რომელიც წარმოიშევა ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისაგან ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის პერიოდში (მოხსენებული მე-2 და მე-3 დონე). გაცემული სესხები და მოთხოვნები გამოყოფილია მე-2 და მე-3 დონეზე.

ჯგუფურად შეფასებული სესხებისა და მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი/კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამიტომ, ჯგუფი/კომპანია არ ადევნებს თვალყურს საკრედიტო რისკის ცვლილებებს, სამაგიეროდ დანაკარგების რეზერვზე აღიარებს ანარიცხებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე თითოეულ საანგარიშგებო დღეს. ჯგუფმა/კომპანიამ შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ეფუძნება ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილებას და კორექტირდება ისეთი ფორვარდული ფაქტორებით, რომლებიც სპეციფიურია მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოსათვის.

ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისა და მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი/კომპანია რეზერვის ოდენობას აფასებს კლიენტთან არსებული წარსული გამოცდილების საფუძველზე, ასევე წლის ბოლოს ფინანსური მდგომარეობისა და წლის შემდგომი გადახდის გრაფიკის საფუძველზე. თუ გარკვეული კონტრაგენტი ინდივიდუალურად არ რეზერვდება ან თუ ჯგუფურად განსაზღვრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ინდივიდუალურად შეფასებულს აღემატება, ჯგუფი/კომპანია იყენებს ჯგუფური შეფასების მონაცემებს.

ჯგუფი/კომპანია ფინანსურ აქტივს განიხილავს დეფოლტად თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდა ვადაგადაცილებულია 90 დღით. გარკვეულ შემთხვევებში ჯგუფმა/კომპანიამ შესაძლოა ფინანსური აქტივი ჩათვალოს გადაფოლტებულად თუ შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს რომ ნაკლებად სავარაუდოა დარჩენილი სახელშეკრულებო ღირებულების სრულად მიღება, მანამ სანამ გაითვალისწინებს რაიმე სახის საკრედიტო გაუმჯობესებას. გადაფოლტებული აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე, მას შემდგომ რაც ყველა აუცილებელი პროცედურა აქტივების დაბრუნებისთვის დასრულებულია და ზარალის თანხა განისაზღვრება. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ჯგუფი/კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე და აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი/კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ჯგუფის/კომპანიის მიერ ანარიცხის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს/კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულების წარდგენა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების რეალურად განხორციელებამ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის აღიარებული ან დაფიქსირებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.



4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის/კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა რისკებთან და რისკების მართვა მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. რისკი დამახასიათებელია ჯგუფის/კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა ხდება უწყვეტი პროცესის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს რისკის იდენტიფიცირებას, მის შეფასებას და ყოველდღიურ მონიტორინგს, მისი ზღვარის დადგენისა და კონტროლის მიზნით. ჯგუფის/კომპანიის ყველა წევრი ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ რისკთან მიმართებაში. ჯგუფის/კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებული მთავარი რისკებია საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ასევე, რისკი დაკავშირებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთსა და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის/კომპანიის რისკების მიმოხილვა და მათ მართვასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის პოლიტიკა.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის/კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც შესაძლებელია წარმოიშვას რისკები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ჯგუფი		კომპანია	
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,745	15,980	16,877	14,221
გაცემული სესხები	735	3,663	732	4,530
ფული და ფულის ეკვივალენტები	29,368	15,423	28,357	15,074
	48,848	35,066	45,966	33,825
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	86,303	79,043	83,809	78,468
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21,174	47,154	19,277	46,115
საიჯარო ვალდებულებები	11,718	11,773	13,706	12,676
სხვა იჯარის ვალდებულება	3,659	3,986	3,659	3,986
საგადასახადო ვალდებულებები	2,566	-	2,469	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	596	1,473	561	1,446
	126,016	143,429	123,481	142,691
დეფიციტი	(77,168)	(108,363)	(77,515)	(108,866)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით, რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფის/კომპანიის და ყველაზე ხელსაყრელი მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი/კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი/კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ ჯგუფი/კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი/კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებშიც შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭიროა, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის შეფასება მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში.

ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით. ასევე ჯგუფმა/კომპანიამ თვითღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გამოიყენა მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის არსებული შეფასების მეთოდოლოგია.

ჯგუფის/კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი/კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის/კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის/კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის/კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის/კომპანიის საკრედიტო რისკი ასევე განაპირობებულია ფული და ფულის ეკვივალენტებით.

ჯგუფი/კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ჯგუფი/კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.



4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი/კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც ჯგუფი/კომპანია ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ჯგუფი		კომპანია	
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,745	15,980	16,877	14,221
გაცემული სესხები	735	3,663	732	4,530
ფული და ფულის ეკვივალენტები	29,368	15,423	28,357	15,074
	48,848	35,066	45,966	33,825

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობის შესახებ იხილეთ მე-18-ე შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი/კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ჯგუფი/კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი/კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს. წარმოდგენილი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება ნარჩენ საკონტრაქტო ვალდებულებებს.

ლიკვიდურობის რისკი წარმოდგენილია შემდეგნაირად

	ჯგუფი			
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები:	24,336	-	-	24,336
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები:	54,711	37,338	30,341	122,390
სულ ფინანსური ვალდებულებები 31.12.2023	79,047	37,338	30,341	146,726
პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები:	48,627	-	-	48,627
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები:	56,538	42,880	12,367	111,785
სულ ფინანსური ვალდებულებები 31.12.2022	105,165	42,880	12,367	160,412

	კომპანია			
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები:	22,307	-	-	22,307
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები:	53,389	39,082	30,073	122,544
სულ ფინანსური ვალდებულებები 31.12.2023	75,696	39,082	30,073	144,851
პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები:	47,561	-	-	47,561
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები:	55,963	42,880	12,367	111,210
სულ ფინანსური ვალდებულებები 31.12.2022	103,524	42,880	12,367	158,771

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის/კომპანიის მიერ პროცენტთან ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).



4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფის/კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია მიღებულ სესხებთან და საიჯარო ვალდებულებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი, რომლის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის/კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. ჯგუფი/კომპანია ახორციელებს გარკვეულ ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში. ჯგუფი/კომპანია არ იყენებს დერივატივებს უცხოური ვალუტის რისკის სამართავად.

სავალუტო რისკის ანალიზი უცხოურ ვალუტებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ჯგუფი			
	31.12.2023		31.12.2022	
	ევრო	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	34	1,544	197	482
გაცემული სესხები	-	732	-	1,087
ფული და ფულის ეკვივალენტები	174	24,308	477	5,436
	208	26,584	197	482
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	52,849	33,454	404	35,898
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	673	14,571	1,046	15,372
საიჯარო ვალდებულებები	-	10,039	-	8,580
სხვა იჯარის ვალდებულება	-	3,659	-	3,986
	53,522	61,723	1,450	63,836
ღია სავალუტო პოზიცია	(53,314)	(35,139)	(776)	(56,831)

	კომპანია			
	31.12.2023		31.12.2022	
	ევრო	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	773	-	-
გაცემული სესხები	-	732	-	1,087
ფული და ფულის ეკვივალენტები	173	24,293	477	5,088
	173	25,798	477	6,175
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	51,165	32,644	404	35,322
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	305	13,783	838	15,240
საიჯარო ვალდებულებები	-	10,039	-	8,580
სხვა საიჯარო ვალდებულება	-	3,659	-	3,986
	51,470	60,125	1,242	63,128
ღია სავალუტო პოზიცია	(51,297)	(34,327)	(765)	(56,953)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის/კომპანიის მგრძობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%	ევრო/ ლარი + 20%	ევრო/ ლარი - 20%
ჯგუფი				
მოგება/(ზარალი) 2023	(7,028)	7,028	(10,663)	10,663
მოგება/(ზარალი) 2022	(11,436)	11,436	(155)	155
კომპანია				
მოგება/(ზარალი) 2023	(6,865)	6,865	(10,259)	10,259
მოგება/(ზარალი) 2022	(11,391)	11,391	(153)	153

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

ჯგუფი/კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

5. შემოსავალი

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
შემოსავალი საწვავის გაყიდვიდან	609,825	649,119	609,984	649,273
შემოსავალი გაზის გაყიდვიდან	12,770	13,998	12,770	13,998
სხვა	19,561	18,323	141	582
	642,156	681,440	622,895	663,853

6. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
საწვავის თვითღირებულება	(533,240)	(600,469)	(533,240)	(600,777)
გაზის თვითღირებულება	(7,762)	(9,240)	(7,762)	(9,240)
სხვა	(16,081)	(15,057)	(85)	(525)
	(557,083)	(624,766)	(541,087)	(610,542)

7. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
ხელფასები	(9,007)	(6,832)	(7,881)	(6,832)
ცვეთა და ამორტიზაცია	(6,935)	(7,442)	(7,055)	(7,442)
კომუნალური ხარჯები	(3,748)	(3,734)	(3,748)	(3,734)
დასაწყობების ხარჯები	(3,080)	(1,101)	(3,080)	(1,101)
იჯარა	(2,835)	(1,722)	(2,847)	(1,964)
სატრანსპორტო ხარჯები	(2,264)	(2,709)	(2,008)	(2,709)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(1,487)	(1,303)	(1,487)	(1,303)
სარეკლამო ხარჯები	(1,457)	(2,046)	(1,035)	(2,046)
დაცვის ხარჯები	(240)	(247)	(240)	(247)
სხვა	(2,538)	(2,189)	(2,538)	(2,390)
	(33,591)	(29,325)	(31,919)	(29,748)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
ხელფასის ხარჯი	(22,340)	(18,797)	(21,608)	(16,951)
საბანკო ხარჯები	(2,380)	(2,024)	(2,308)	(1,966)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(922)	(1,057)	(914)	(1,052)
ფაქტორინგული მომსახურების საკომისიო	(752)	(128)	(752)	(128)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(462)	(414)	(462)	(447)
მივლინების ხარჯები	(400)	(316)	(377)	(272)
პროფესიული მომსახურება	(390)	(422)	(358)	(411)
კომუნალურები	(285)	(307)	(258)	(259)
ოფისის იჯარა	(143)	(321)	(143)	(109)
სხვა	(1,209)	(1,747)	(1,343)	(1,178)
	(29,283)	(25,533)	(28,523)	(22,773)

9. სხვა შემოსავალი

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
შემოსავალი იჯარიდან	4,588	4,780	4,841	4,983
შემოსავალი საიჯარო	2,024	1,059	2,099	990
ვალდებულებების ცვლილებიდან				
შემოსავალი სამონტაჟო სამუშაოებიდან	323	283	323	283
სხვა მარაგების რეალიზაციიდან	311	574	311	574
მიღებული შემოსავალი				
სატრანსპორტო მომსახურება	271	230	271	230
შემოსავალი პლასტიკური ბარათების რეალიზაციიდან	258	224	258	224
წილი მეკავშირე საწარმოს პერიოდის მოგებიდან	30	34	-	-
მიღებული დივიდენდი	-	-	324	3,422
სხვა	894	983	649	601
	8,699	8,167	9,076	11,307

10. წმინდა მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაცვლიდან

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
ჩამოწერილი გრძელვადიანი აქტივები	(32,222)	(8,438)	(32,222)	(8,438)
ძირითადი საშუალებები	(2,500)	-	(2,500)	-
საინვესტიციო ქონება	(29,722)	(8,438)	(29,722)	(8,438)
შემოსავალი ჩამოწერილი გრძელვადიანი აქტივებიდან	21,515	48,916	21,515	48,916
ძირითადი საშუალებები	3,977	-	3,977	-
საინვესტიციო ქონება	17,538	48,916	17,538	48,916
	(10,707)	40,478	(10,707)	40,478

2022 წლის ივლისში ჯგუფმა/კომპანიამ გაცვლითი ოპერაციის შედეგად, საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ქონება, კერძოდ 12,491 ლარის ღირებულების მიწა და შენობა-ნაგებობები გაცვალა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწებზე და შენობა-ნაგებობებზე, რომლის სამართლიანი ღირებულება გაცვლის თარიღში შეადგენდა 50,240 ლარს. აღნიშნული აქტივების ნაწილი საერთო ღირებულებით 29,722 ლარი გაიყიდა 2023 წელს.

11. წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
ეფექტი ფულისა და ფულის ეკვივალენტებზე	(1,406)	(1,034)	(1,311)	(853)
ეფექტი ფინანსური ინსტრუმენტებზე	522	14,282	594	13,978
	(884)	13,248	(717)	13,125

12. ფინანსური ხარჯი

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
მიღებულ სესხებზე	(7,123)	(7,550)	(6,975)	(7,617)
სხვა საიჯარო ვალდებულებებზე	(1,156)	(1,361)	(1,415)	(1,515)
ფინანსური იჯარის ვალდებულებებზე	(315)	(376)	(315)	(376)
	(8,594)	(9,287)	(8,705)	(9,508)



13. ძირითადი საშუალებები

	ჯგუფი					სულ
	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა მატერიალური აქტივები	
ისტორიული ღირებულება						
31.12.2021	110,947	15,770	6,067	13,621	8,352	154,757
შემოსვლა	14,879	610	1,461	324	3,105	20,379
გასვლა	(18,802)	(2,080)	(424)	(292)	(48)	(21,646)
გადატანა საინვესტიციო ქონებაში	(4,643)	-	-	-	-	(4,643)
31.12.2022	102,381	14,300	7,104	13,653	11,409	148,847
შემოსვლა	4,188	954	1,432	1,102	154	7,830
გასვლა	(2,025)	(390)	(1,056)	-	-	(3,471)
გადაფასების შედეგი	42,548	-	-	-	-	42,548
31.12.2023	147,092	14,864	7,480	14,755	11,563	195,754
დაგროვილი ცვეთა						
31.12.2021	(3,996)	(12,159)	(3,242)	(10,092)	(4,539)	(34,028)
ცვეთა	(3,012)	(392)	(794)	(857)	(1,104)	(6,159)
გასვლა	3,299	916	242	276	47	4,780
31.12.2022	(3,709)	(11,635)	(3,794)	(10,673)	(5,596)	(35,407)
ცვეთა	(1,400)	(1,432)	(859)	(1,218)	(878)	(5,787)
გასვლა	49	353	506	-	-	908
გადაფასების შედეგი	5,060	-	-	-	-	5,060
31.12.2023	-	(12,714)	(4,147)	(11,891)	(6,474)	(35,226)
საბალანსო ღირებულება						
31.12.2022	98,672	2,665	3,310	2,980	5,813	113,440
31.12.2023	147,092	2,150	3,333	2,864	5,089	160,528

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს/კომპანიას ძირითადი საშუალებები სრულად ჰქონდა გამოყენებული საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად (იხილეთ შენიშვნა #21).

ჯგუფი ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



13. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

	კომპანია					სულ
	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა მატერიალური აქტივები	
ისტორიული ღირებულება						
31.12.2021	109,942	15,704	5,896	13,122	7,677	152,341
შემოსვლა	14,879	551	1,449	102	2,991	19,972
გასვლა	(18,802)	(2,061)	(424)	(49)	-	(21,336)
გადატანა საინვესტიციო ქონებაში	(4,643)	-	-	-	-	(4,643)
31.12.2022	101,376	14,194	6,921	13,175	10,668	146,334
შემოსვლა	4,188	924	1,297	733	38	7,180
გასვლა	(1,999)	(390)	(1,056)	-	-	(3,445)
გადაფასების შედეგი	42,544	-	-	-	-	42,544
31.12.2023	146,109	14,728	7,162	13,908	10,706	192,613
დაგროვილი ცვეთა						
31.12.2021	(3,978)	(12,024)	(3,219)	(10,022)	(3,815)	(33,058)
ცვეთა	(3,010)	(363)	(764)	(803)	(1,079)	(6,019)
გასვლა	3,299	891	242	49	-	4,481
31.12.2022	(3,689)	(11,496)	(3,741)	(10,776)	(4,894)	(34,596)
ცვეთა	(1,398)	(1,403)	(809)	(1,145)	(837)	(5,592)
გასვლა	27	353	506	-	-	886
გადაფასების შედეგი	5,060	-	-	-	-	5,060
31.12.2023	-	(12,546)	(4,044)	(11,921)	(5,731)	(34,242)
ნარჩენი ღირებულება						
31.12.2022	97,687	2,698	3,180	2,399	5,774	111,738
31.12.2023	146,109	2,182	3,118	1,987	4,975	158,371

ჯგუფის/კომპანიის მიწა და შენობები აღირიცხება მათი გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისთვის, გამოკლებული ნებისმიერი შემდგომი აკუმულირებული ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ჯგუფის/კომპანიის მიწებისა და შენობების რეალური ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეაფასა ჯგუფის ხელმძღვანელობამ. შეფასება განხორციელდა საბაზრო და დანახარჯების მიდგომის გამოყენებით და შეესაბამება შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს.



2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

მიწის რეალური ღირებულება დადგინდა შეფასების საბაზრო მიდგომის გამოყენებით (რეალური ღირებულების განსაზღვრის მეორე დონე), რომელიც ითვალისწინებს მსგავს ქონებაზე ახლო წარსულში ჩატარებული ტრანზაქციების ფასებს.

სპეციალიზებული საშუალებების რეალური ღირებულების დასადგენად მთავარი მიდგომაა დანახარჯების მიდგომა (ცვეთადარიცხული საშუალებების ჩანაცვლების ხარჯების მეთოდი; მესამე დონე), გაუფასურების ტესტში შემოსავლების მიდგომის გამოყენებით. დანახარჯების მიდგომა ითვალისწინებს ბაზრის მონაწილეების ხარჯს, რომ შექმნან მსგავსი გამოყენების და ასაკის მქონე აქტივი, დაძველების გათვალისწინებით. გაუფასურების ტესტის მიზნებისათვის გამოყენების ღირებულება გაზომილი იყო 14.07%-ანი დისკონტირების განაკვეთით.

არასპეციალიზებული ქონების შეფასებისას გამოყენებული მიდგომები იყო გაყიდვების შედარებისა და ხარჯების მიდგომა (მეორე და მესამე დონე), აუცილებლობის შემთხვევაში, შეფასების შედეგის გადამოწმებისას, შემოსავლების მიდგომის გამოყენებით. ამოსავალი მონაცემები, რომლებიც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრის მესამე მეთოდში დაკვირვებადია როგორც წარსული გამოცდილებიდან, ისე მსგავსი მახასიათებლების მქონე ქონებების საშუალებით.

2023 წლის 31 დეკემბრის მგომარეობით შეფასების შედეგად ძირითადი საშუალებების გაუფასურებამ, რომელიც წარდგენილია როგორც წმინდა მოგება გრძელვადიანი აქტივების გადაფასებიდან შეადგინა (1,626) ლარი, ხოლო სხვა სრულმა შემოსავალმა 49,234 ლარი.

14. საინვესტიციო ქონება

	<u>ჯგუფი</u>	<u>კომპანია</u>
31.12.2021	20,852	20,852
შემოსვლა	51,540	51,540
გადმოტანა ძირითადი საშუალებებიდან	4,643	4,643
ჩამოწერა	(8,833)	(8,833)
31.12.2022	68,202	68,202
შემოსვლა	1,371	1,371
გადაფასების შედეგი	20,823	20,823
ჩამოწერა	(29,722)	(29,722)
31.12.2023	60,674	60,674

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს/კომპანიას საინვესტიციო ქონება სრულად ჰქონდა გამოყენებული საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად (იხილეთ შენიშვნა #21).

ჯგუფის/კომპანიის საინვესტიციო ქონება, რომელიც შედგება მიწის ნაკვეთებიდან აისახება მათი გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისთვის. ჯგუფის/კომპანიის საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შეფასება მოხდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება შეესაბამება შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს. მიწის რეალური ღირებულება დადგინდა შეფასების საბაზრო მიდგომის გამოყენებით (რეალური ღირებულების განსაზღვრის მეორე დონე), რომელიც ითვალისწინებს მსგავს ქონებაზე ახლო წარსულში ჩატარებული ტრანზაქციების ფასებს. 2023 წელს საინვესტიციო ქონების აფასების ეფექტმა შეადგინა 20,823 ლარი, რომელიც წარდგენილია როგორც წმინდა მოგება გრძელვადიანი აქტივების გადაფასებიდან.

15. იჯარები

აქტივის გამოყენების უფლება

	ჯგუფი		
	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სულ
31.12.2021	11,154	73	11,227
გასვლა	(338)	-	(338)
პერიოდის ამორტიზაცია	(1,067)	(11)	(1,078)
31.12.2022	9,749	62	9,811
შემოსვლა	90	-	90
მოდიფიკაცია	2,870	-	2,870
პერიოდის ამორტიზაცია	(1,167)	(11)	(1,178)
31.12.2023	11,542	51	11,593

აქტივის გამოყენების უფლება

	კომპანია		
	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სულ
31.12.2021	10,938	73	11,011
გასვლა	(245)	-	(245)
პერიოდის ამორტიზაცია	(1,212)	(11)	(1,223)
31.12.2022	9,481	62	9,543
შემოსვლა	90	-	90
მოდიფიკაცია	4,223	-	4,223
პერიოდის ამორტიზაცია	(1,320)	(11)	(1,331)
31.12.2023	12,474	51	12,525

საიჯარო ვალდებულება

	ჯგუფი	კომპანია
	31.12.2021	15,747
დარიცხული პროცენტი	1,361	1,515
გაცვლითი კურსის ეფექტი	(1,226)	(1,216)
გადახდილი პროცენტი	(1,361)	(1,515)
ძირის დაფარვა	(1,297)	(1,232)
იჯარის ცვლილებასთან დაკავშირებული შემოსავალი	(1,451)	(1,288)
31.12.2022	11,773	12,676
შემოსვლა	90	90
დარიცხული პროცენტი	1,156	1,415
გაცვლითი კურსის ეფექტი	7	7
გადახდილი პროცენტი	(1,156)	(1,415)
ძირის დაფარვა	(998)	(1,191)
იჯარის ცვლილებასთან დაკავშირებული შემოსავალი	846	2,124
31.12.2023	11,718	13,706

16. ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში

	კომპანია			
	წილი	ინვესტიცია	წილი	ინვესტიცია
	31.12.2023	31.12.2023	31.12.2022	31.12.2022
ინვესტიციები შვილობილში				
შპს ვისოლ ავტოექსპრესი	100%	15,374	100%	15,877
შპს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია ვაკე	50%	332	50%	332
შპს ვისოლ-ყოჩები	100%	-	100%	-
შპს კანარგო სტანდარტ სპ ჩულურეთი	51%	-	51%	-
შპს ერთობა-2018	100%	-	100%	-
		15,706		16,209
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში				
შპს ჯაჭვის ხიდი	40%	620		620
შპს ვისოლ ჯგუფი	34%	-		-
		620		620
		16,326		16,829

17. მარაგები

	ჯგუფი		კომპანია	
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
საწვავი	46,236	40,090	46,236	40,090
სხვა	11,030	9,724	4,224	2,541
	57,266	49,814	50,460	42,631

18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	ჯგუფი		კომპანია	
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	23,277	19,698	20,737	17,113
სხვა მოთხოვნები	2,452	9,622	2,554	9,812
საექვო ვალების რეზერვი	(6,984)	(13,340)	(6,414)	(12,704)
	18,745	15,980	16,877	14,221

სავაჭრო მოთხოვნის ზარალიანობის განსაზღვრისას, ჯგუფი ამოწმებს, ხომ არ მომხდარა მის საკრედიტო ხარისხში რაიმე ცვლილება კრედიტის მინიჭების დღიდან საანგარიშგებო დღემდე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია, რადგან კლიენტების ბაზა დიდია და არაერთგვაროვანი. შესაბამისად, ჯგუფის ხელმძღვანელობის აზრით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გარდა დამატებითი საკრედიტო რეზერვის შექმნა საჭირო არ არის.

გაუფასურების რეზერვის ცვლილება:	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
1 იანვარი	(13,340)	(8,578)	(12,704)	(7,998)
ზრდა	-	(4,891)	-	(4,835)
შემცირება	6,356	129	6,290	129
31 დეკემბერი	(6,984)	(13,340)	(6,414)	(12,704)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ჯგუფი			
	2023		2022	
	მოთხოვნა	რეზერვი	მოთხოვნა	რეზერვი
30-დღემდე	17,660	(475)	14,246	(757)
30-დან 90 დღემდე	1,387	(466)	1,115	(590)
90-დან 180 დღემდე	408	(339)	661	(545)
180 დღემდე მეტი	6,274	(5,704)	13,298	(11,448)
	25,729	(6,984)	29,320	(13,340)

	კომპანია			
	2023		2022	
	მოთხოვნა	რეზერვი	მოთხოვნა	რეზერვი
30-დღემდე	16,133	(460)	12,735	(718)
30-დან 90 დღემდე	977	(333)	853	(523)
90-დან 180 დღემდე	133	(110)	438	(360)
180 დღემდე მეტი	6,048	(5,511)	12,899	(11,103)
	23,291	(6,414)	26,925	(12,704)

19. ფული და ფულის ეკვივალენტები

	ჯგუფი		კომპანია	
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
ფული სალაროში	9	31	7	30
ფული ბანკში ლარში	4,877	9,479	3,884	9,479
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	24,482	5,913	24,466	5,565
	29,368	15,423	28,357	15,074



2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

20. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალის საბალანსო ღირებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 17,212 და 22,134 ლარს შესაბამისად. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის/კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენდა 10,529,727 და 14,881,000 ჩვეულებრივ აქციას თითო 1 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით შესაბამისად.

ყველა აქციას გააჩნია თანაბარი ხმის და დივიდენდების მიღების უფლება. დივიდენდები გაიცემა ჯგუფის/კომპანიის შეხედულებისამებრ. დივიდენდებს ერიცხება გადასახადი - 5% და მოგების გადასახადი 15% მთლიანი თანხიდან. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფს/კომპანიას აქციონერთათვის დივიდენდები არ გამოუცხადებია.

21. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი (%)	ვალუტა	ვადა	ჯგუფი		კომპანია	
				31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
სს "თიბისი ბანკი"	7.5	ევრო	ივნ-31	32,662	-	32,662	-
სს "თიბისი ბანკი"	9.4	აშშ დოლარი	იან-24	19,578	-	19,578	-
აკრედიტივი							
სს "თიბისი ბანკი"	7.5	ევრო	ივნ-24	13,544	-	13,544	-
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	8.0	აშშ დოლარი	თებ-22	13,061	13,080	13,061	13,080
სს "თიბისი ბანკი"	7.5	ევრო	ივნ-31	4,964	-	4,964	-
სს "თიბისი ბანკი"	15.0	ლარი	თებ-24	-	14,828	-	14,828
სს "თიბისი ბანკი"	15.0	ლარი	თებ-24	-	14,828	-	14,828
შპს "ალმა"	7.6	აშშ დოლარი	დეკ-23	-	9,066	-	9,066
სს "პაშა ბანკი"	10.5	აშშ დოლარი	აპრ-23	-	7,075	-	7,075
სს "ხალივ ბანკი ჯორჯია"	14.0	ლარი	ივლ-23	-	5,954	-	5,954
სს "ბაზის-ბანკი"	13.7	ლარი	იან-23	-	3,522	-	3,522
სს "ხალივ ბანკი ჯორჯია"	13.7	ლარი	ნოე-22	-	3,165	-	3,165
სს "პაშა ბანკი"	9.5	აშშ დოლარი	ოქტ-23	-	2,703	-	2,703
სს "ქართუ ბანკი"	9.5	აშშ დოლარი	ნოე-24	-	2,043	-	2,043
სს "პაშა ბანკი"	8.5	აშშ დოლარი	დეკ-23	-	1,353	-	1,353
სს "ქართუ ბანკი"	საბაზ.+4.0	ლარი	მარ-23	-	434	-	434
შპს "ალმა"	7.6	ევრო	დეკ-23	-	404	-	404
სს "ბაზის-ბანკი"	13.5	ლარი	სექ-22	-	8	-	8
სს "თიბისი ბანკი"	7.8	აშშ დოლარი	თებ-22	-	3	-	3
სს "ბაზის-ბანკი"	10.0	აშშ დოლარი	ოქტ-25	-	2	-	2
შვილობილი კომპანიების სესხები კომერციულ ბანკში	3 - 9.2	აშშ დოლარი, ევრო	ოქტ-23	2,494	575	-	-
				86,303	79,043	83,809	78,468

მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებითა და საინვესტიციო ქონებით (იხილეთ შენიშვნა #13 და 14).

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
1 იანვარი	79,043	77,314	78,468	76,524
მიღებული სესხები	153,543	183,589	151,126	183,606
სესხების აღება - არაფულადი	3,015	2,569	-	-
დარიცხული პროცენტი	7,121	7,550	6,975	7,617
სესხების დაფარვა	(149,628)	(173,244)	(146,624)	(171,117)
სესხების დაფარვა - არაფულადი	(560)	(501)	-	-
გადახდილი პროცენტი	(7,179)	(7,730)	(7,017)	(7,761)
საკურსო სხვაობის გავლენა	948	(10,504)	881	(10,401)
31 დეკემბერი	86,303	79,043	83,809	78,468

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	ჯგუფი		კომპანია	
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	14,517	31,902	12,474	30,598
ფაქტორინგის ვალდებულება	4,676	13,510	4,676	13,510
სხვა ვალდებულებები	1,981	1,742	2,127	2,007
	21,174	47,154	19,277	46,115

23. მიღებული ავანსები

	ჯგუფი		კომპანია	
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
საწვავზე მიღებული ავანსები	14,406	15,430	14,406	15,373
სხვა მიღებული ავანსები	1,934	907	1,935	908
	16,340	16,337	16,341	16,281

24. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, ჯგუფის/კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს/კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს/კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის/კომპანიის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო – საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სამართლებრივი დავები - დროდადრო, ნორმალური საოპერაციო ციკლის ფარგლებში, ჯგუფი/კომპანია დებულობს ხოლმე საჩივრებს მოქალაქეებისა და კონტრაგენტებისაგან. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ მიიღებს არსებით ალურიცხვად დანაკარგებს, შესაბამისად, არ აღიარებს მოსალოდნელ ზარალს ამ საკითხთან მიმართებით.

25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფს/კომპანიას და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ნაშთები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ჯგუფი		კომპანია	
	2023	2022	2023	2022
ნაშთები დამფუძნებლებთან, შვილობილ და მეკავშირე საწარმოებთან და მათ მიერ ფლობილ სხვა კომპანიებთან:				
ფინანსური იჯარის ვალდებულება	3,659	3,986	3,659	3,986
გადავადებული შემოსავალი	1,301	1,421	1,301	1,421
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,298	697	1,460	849
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	808	256	954	337
საიჯარო ვალდებულებები	390	439	3,146	3,480
გაცემული სესხები	735	3,661	732	4,530
გადახდილი ავანსები	125	-	125	-
მიღებული სესხები	-	9,470	-	9,470
ოპერაციები დამფუძნებლებთან, შვილობილ და მეკავშირე საწარმოებთან და მათ მიერ ფლობილ სხვა კომპანიებთან:				
შემოსავალი	725	626	725	781
შესყიდვები	3,006	12,519	3,006	12,858
ფინანსური შემოსავალი	318	382	385	3
სხვა შემოსავალი	3,553	2,924	3,553	6,581
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	505	62	747	1,070
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	76	-	76	33
ფინანსური ხარჯი	235	-	607	-
საკურსო სხვაობის მოგება/ზარალი	19	-	19	-
	ჯგუფი	კომპანია		
უმაღლესი ხელმძღვანელობა	2023	2022	2023	2022
ხელფასები	5,322	3,057	4,982	2,641

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ:

- ჯგუფმა/კომპანიამ აიღო ახალი სესხი სს თიბისი ბანკისგან 278,454 ლარი და დაფარა 279,953 ლარის სესხები, აქედან - სს თიბისი ბანკთან არსებული 274,643 ლარის და სს ვითიბი ბანკთან არსებული 615 ლარის სესხი.
- ჯგუფმა/კომპანიამ გასცა სესხები შემდეგ დაკავშირებულ მხარეებზე: შპს ვისოლ ავტო ექსპრესზე (2,288,733 ლარის) და დამფუძნებელზე (2,047,500 ლარის). ამავე პერიოდში შემდეგი დაკავშირებული მხარეებისგან დაიფარა სესხები: დამფუძნებლებისგან (159 ლარი); შპს ვისოლ ავტო ექსპრესი (1,039 ლარი); შპს კიოს ჯორჯია (10 ლარი)

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი/კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის/კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი/კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანლადელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაიანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა (ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან“. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,7020	2,8844

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი დაკლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“. ჯგუფი/კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა საცალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი საკრედიტო დანაკარგებისთვის, რომელთათვის საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება იმ დეფოლტის მოვლენების შედეგად, რომლებიც შესაძლოა მოხდეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, დანაკარგების რეზერვის შექმნა აუცილებელია კრედიტის დარჩენილი ვადის განმავლობაში, დეფოლტის დროის მიუხედავად.

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

კომპანიამ და ჯგუფმა განსაზღვრა სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე, ანუ არსებობის განმავლობაში სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშევა ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისაგან ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის პერიოდში (მოხსენებული მე-2 და მე-3 დონე). გაცემული სესხები და მოთხოვნები გამოყოფილია მე-2 და მე-3 დონეზე

ჯგუფურად შეფასებული სესხებისა და მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი/კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამიტომ, ჯგუფი/კომპანია არ ადევნებს თვალყურს საკრედიტო რისკის ცვლილებებს, სამაგიეროდ დანაკარგების რეზერვზე აღიარებს ანარიცხებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე თითოეულ საანგარიშგებო დღეს. ჯგუფმა/კომპანიამ შექმნა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეფუძნება ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილებას და კორექტირდება ისეთი ფორვარდული ფაქტორებით, რომლებიც სპეციფიურია მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოსათვის. ჯგუფურად ფასდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისა და მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი/კომპანია რეზერვის ოდენობას აფასებს კლიენტთან არსებული წარსული გამოცდილების საფუძველზე, ასევე წლის ბოლოს ფინანსური მდგომარეობისა და წლის შემდგომი გადახდის გრაფიკის საფუძველზე. თუ გარკვეული კონტრაგენტი ინდივიდუალურად არ რეზერვდება ან თუ ჯგუფურად განსაზღვრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ინდივიდუალურად შეფასებულს აღმატება, ჯგუფი/კომპანია იყენებს ჯგუფური შეფასების მონაცემებს.

ჯგუფი/კომპანია ფინანსურ აქტივს განიხილავს დეფოლტად თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდა ვადაგადაცილებულია 90 დღით. მიუხედავად ამისა, გარკვეულ შემთხვევებში ჯგუფმა/კომპანიამ შესაძლოა ფინანსური აქტივი ჩათვალოს გადეფოლტებულად თუ შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს რომ ჯგუფმა/კომპანიამ ნაკლებად სავარაუდოა რომ მიიღოს დარჩენილი სახელშეკრულებო ღირებულება სრულად, მანამ სანამ გაითვალისწინებს რაიმე სახის საკრედიტო გაუმჯობესებას.

გადეფოლტებული აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე, მას შემდგომ რაც ყველა აუცილებელი პროცედურა აქტივების დაბრუნებისთვის დასრულდება და ზარალის თანხა განისაზღვრება. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით. ჯგუფმა/კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე ჯგუფი არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი/კომპანია ირჩევს მისი ფინანსური ვალდებულებებისთვის შესაფერის ბიზნეს მოდელს. სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგომ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში

ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციებს ჯგუფი/კომპანია აღრიცხვას კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინვესტიცია კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული, რომელიც აღრიცხება ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციების“ შესაბამისად.



27. არსებითი საადრიცხო პოლიტიკები (გაგრძელება)

შვილობილებში განხორციელებული ინვესტიცია

კომპანიას გააჩნია კონტროლი საწარმოზე, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით. შვილობილი კომპანიების აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულებით იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია მათზე მოიპოვებს კონტროლს და აღრიცხება მანამ, სანამ მათზე კონტროლს დაკარგავს.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვეითვის შემდეგ. ჯგუფის/კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის რეალური ღირებულების ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

არამაკონტროლებელი წილი

არასაკონტროლო წილები წარმოადგენს შვილობილი კომპანიის კაპიტალს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არ მიეკუთვნება შმობელ კომპანიას. არამაკონტროლებელი წილები ცალკე წარმოდგენილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და კაპიტალში წარმოდგენილია აქციონერების კაპიტალისგან განცალკევებით.

ძირითადი საშუალებები

მიწა და შენობა-ნაგებობები, რომელთაც ჯგუფი/კომპანია ფლობს საქონლის ან მომსახურების წარმოების ან მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით, ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც უდრის რეალურ ღირებულებას გადაფასების დღეს, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გადაფასება რეგულარულად ხდება და, შედეგად, საბალანსო ღირებულებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმ ღირებულებებისგან, რაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს რეალური ღირებულებების გამოყენებით უნდა აღრიცხულიყო.

მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასებით წარმოქმნილი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება კაპიტალში, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, თუ ის აუქმებს იმავე აქტივზე მანამდე მოგებაში ან ზარალში აღიარებულ გაუფასურების ზარალს, რა დროსაც მოგებაში ან ზარალში ირიცხება მანამდე ხარჯად აღიარებული გაუფასურების ზარალის ტოლი ზრდა. ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების შედეგად წარმოშობილი გადაფასების ზარალი მოგებაში ან ზარალში აღიარდება, თუ ის აჭარბებს აქტივის წინა გადაფასებასთან დაკავშირებულ გადაფასების რეზერვში არსებულ ნაშთს.

საწარმოო, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით მიმდინარე მშენებლობები აღრიცხება თვითღირებულებით, აღიარებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით. თვითღირებულებაში შედის პროფესიული მომსახურების საფასურები და, კვალიფიციური აქტივებისათვის, ჯგუფის საადრიცხო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები. ამგვარი ქონება ძირითადი საშუალებების შესაბამის კატეგორიებში კლასიფიცირდება დასრულებისა და დაგეგმილი მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ. ამ აქტივების ცვეთა, სხვა უძრავი აქტივების მსგავსად, იწყება მაშინ, როდესაც აქტივები მზადაა დაგეგმილი მოხმარებისათვის. გადაფასებულ შენობა-ნაგებობებზე დარიცხული ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადაფასებული აქტივის შემდგომი გაყიდვის ან ჩამოწერის შემდეგ, გადაფასების შესაბამისი მეტობა, რომელიც რჩება გადაფასების რეზერვში, პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში გადადის.

ცვეთის აღიარებისას აქტივების თვითღირებულების ან შეფასებული ღირებულებისა და მათი ნარჩენი ღირებულების სხვაობა ჩამოიწერება (ეს არ ეხება მიწასა და მიმდინარე მშენებლობებს) სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით. მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადები, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის მეთოდი გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი ცვლილება აღრიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	5-20
მანქანა-დანადგარები	5-12.5
სატრანსპორტო საშუალებები	5
საოფისე ტექნიკა	5
სხვა მატერიალური აქტივები	5-20

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და სხვა ძირითადი საშუალებები აღრიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი რეალიზაციისას ან მაშინ, თუ აქტივის მოხმარების შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება. ძირითადი საშუალების რეალიზაციით ან ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა გაყიდვით მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

საინვესტიციო ქონება

თავდაპირველად საინვესტიციო ქონება ფასდება თვითღირებულებით. გარიგების დანახარჯების გათვალისწინებით. ჯგუფი/კომპანია საინვესტიციო ქონების შემდგომი შეფასებისთვის იყენებს სამართლიანი ღირებულების მოდელს.

ჯგუფის/კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომელსა გააჩნია შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში, როგორც სხვა საოპერაციო შემოსავალი. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული გადაფასებასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში და წარმოდგენილია ცალკე მუხლად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის მომენტში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი. აღნიშნული იანგარიშება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ წმინდა მოგებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის.

თუ საინვესტიციო ქონება გამოყენებული იქნება მესაკუთრის მიერ, ის კლასიფიცირდება, როგორც ძირითადი საშუალება და მისი საბალანსო ღირებულება კლასიფიკაციის შეცვლის დღეს მიჩნეულია მის თვითღირებულებად სააღრიცხვო მიზნებისათვის. შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მხოლოდ მაშინ, თუკი მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია და მოსალოდნელია, რომ მომავალში ჯგუფი/კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს ამ დანახარჯებიდან. ყველა სხვა შეკეთებისა და შენახვა-შენარჩუნების ხარჯები ხარჯად აღიარდება მათი წარმოშობისას.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადაზე. სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადით აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი/კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა იჯარისა რომელდაც დაბალი ღირებულება აქვს და რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის დარიცხვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით, ხოლო აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

როდესაც ჯგუფი/კომპანია ცვლის იჯარის ვადას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, ჯგუფმა/კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება, რის შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

მოკლევადიანი იჯარა, ცვლადი საიჯარო გადახდები და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა/კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც ასახული არ არის საიჯარო ვალდებულების შეფასებაში იმ პერიოდში, წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც წარმოიშვა ამ გადახდების გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება დგინდება შემოსვლის რიგის მიხედვით (ბაზემში) და ინდივიდუალურად (ბენზინგასამართ სადგურებში). წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონლისთვის ან მომსახურებისთვის, სავარაუდოდ, მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია

აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მას შემდეგ, რაც ჯგუფი/კომპანია კონტროლს მოიპოვებს ამ აქტივებზე და სავარაუდოა, რომ ჯგუფი/კომპანია მომავალში აქტივთან დაკავშირებულ ეკონომიკური სარგებელს მიიღებს. სხვა წინასწარ გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება მოხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი აქტივი, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება, როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი/კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი/კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები მოიცავს საწვავის სანაცვლოდ ავანსად მიღებულ თანხებს და სხვა მიღებულ ავანსებს. წინასწარ მიღებული თანხები შემოსავალში იქამდე არ აისახება, სანამ არ მოხდება კლიენტისათვის შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიწოდება.

27. არსებითი საადრიცხო პოლიტიკები (გაგრძელება)

კლასიფიცირება სესხად ან კაპიტალის ინსტრუმენტად

ჯგუფის/კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და კაპიტალის ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან კაპიტალის ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და კაპიტალის ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად. კაპიტალის ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

სააქციო კაპიტალი აღიარდება ჯგუფის/კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები აღირიცხება აქციონერთა კაპიტალში მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე გამოცხადებული დივიდენდები განიხილება, როგორც „შემდგომი მოვლენა“ და განმარტებულია შესაბამის ქვეთავში.

სესხის აღების ხარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ისეთი კვალიფიციური აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან დამზადებასთან, რომელთა დაგეგმილი მოხმარებისათვის ან გაყიდვისთვის გამზადებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, ამ აქტივების თვითღირებულებას ემატება იქამდე, სანამ ეს აქტივები არ გამზადდება დაგეგმილი მოხმარების ან გაყიდვისათვის. ყველა სხვა სესხის აღების ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც ჯგუფი/კომპანია მიყვანს გადასცემს მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, ანუ იმ მომენტში, როდესაც საქონელი კლიენტს მიწოდდა და ჯგუფს/კომპანიას აღარ რჩება შეუსრულებელი ვალდებულება, რომელიც ზეგავლენას მოახდენდა კლიენტის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება, როდესაც საქონელი გადაიტუმბება კლიენტის სატრანსპორტო საშუალებაში ან მიდის საწყობში საბითუმო გზით გაყიდვის მიზნით.

შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის შეფასებული დაბრუნებები, ფასდათმობები და სხვა მსგავსი შეღავათები. ჯგუფი/კომპანია შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში, შეთანხმების გაფორმებისას. ჯგუფს/კომპანიას თითოეულ შეთანხმებაზე აქვს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

შემოსავალი აღიარდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რეალიზაციის პირობების გათვალისწინებით, შემოსავლის ოდენობას აკლდება საფასო ან მოცულობითი ფასდაკლება, რომლებიც გათვალისწინებულია კლიენტებისათვის.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა მოკლე და გრძელვადიანი სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს/კომპანიას მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, ჯგუფს/კომპანიას აქვს იურიდიული ვალდებულება, რომ საპენსიო ფონდში შეიტანოს დასაქმებულთა მთლიანი ხელფასისა და ბენეფიტის 2%.

მიღებული დივიდენდი და საპროცენტო შემოსავალი

დივიდენდები მოგებაში ან ზარალში მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარდება, როდესაც: ა) დადგინდება საწარმოს უფლება გადახდილი დივიდენდების მიღებაზე; ბ) მოსალოდნელია დივიდენდებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა; და გ) დივიდენდის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

27. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივიდან აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი/კომპანია და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. საპროცენტო შემოსავალი ირიცხება დროით საფუძველზე, დარჩენილი ძირითადი თანხისა და გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც არის ის განაკვეთი, რომლითაც ზუსტად ხდება მოსალოდნელი მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირება ფინანსური აქტივის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ამ აქტივის თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავლში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებას (ყველა მიღებული, ან გადახდილი

საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) დისკონტირების ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოადგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ჯგუფის/კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან/კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს/კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში/კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის/კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან/კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს/კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

ჯგუფი ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

I. საქმიანობის მიმოხილვა

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ (შემდგომში „ვისოლი“ ან „კომპანია“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2000 წლის 11 აპრილს.

ვისოლის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 17,212 ათას ლარს. საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 10,530 ათას ცალ ჩვეულებრივ სახელობით აქციად. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 (ერთი) აშშ დოლარს.

კომპანიის აქციონერები არიან:

- შპს „გლობალ ინვესტორს ლიმიტედ“ (მალტა) - 61.95%
- შპს „სტანდარტ ოილ ჰოლდინგი“ (საქართველო) - 10.87%
- ლევან ფხაკაძე (საქართველო) - 2.18%
- შპს „ჰელვეცია პეტროლიუმ“ (მალტა) - 25%

ჯგუფის/კომპანიის მმართველობითი ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, გენერალური დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისგან:

- სამსონ ფხაკაძე, თავმჯდომარე
- ლევან ფხაკაძე, წევრი
- ნუგზარ აბრამიშვილი, წევრი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ და მეკავშირე საწარმოებს (შემდგომში „ჯგუფი“):

- შპს ვისოლ ავტოექსპრესი - 100%, ავტომანქანების ზეთებით და საბურავებით ვაჭრობა;
- შპს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია ვაკე - 50%, ქონების იჯარით გაცემა;
- შპს ჯაჭვის ხიდი - 40%, ქონების იჯარით გაცემა;
- შპს „კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტსი - ჩუღურეთი“ - 51%, უმოქმედო;
- შპს „ვისოლ-ფოჩები“ - 100%, უმოქმედო;
- შპს „ვისოლ ჯგუფი“ - 33.5%, სარეკლამო მომსახურება
- შპს ერთობა 2018 - 100%, მეკავშირე მხარეებისგან ვალის ამოღება.

ჯგუფის საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- თანამედროვე ავტოგასამართი სადგურების მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაცია;
- ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვა, იმპორტ-ექსპორტი, ტრანზიტული გადაზიდვები, შენახვა, გადამუშავება და რეალიზაცია;
- გაზისა და გაზის პროდუქტების რეალიზაცია;

II. განვითარების გეგმები

ჯგუფის/კომპანიის განვითარების გეგმა ითვალისწინებს (ა) სესხისა და კაპიტალის ფარდობის დამატებით შემცირებას საინვესტიციო ქონების რეალიზაციით; და (ბ) მომხმარებლებისათვის კორპორატიულ ბაზარზე ახალი სისტემების დანერგვას.

III. კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2023 და 2022 წლებში ჯგუფს/კომპანიას კვლევისა და განვითარების პროექტები არ ჰქონია.

IV. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

2023 წლის ბოლოსათვის სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია ექსპლუატაციას უწევდა 119 სადგურს: 118 ბენზინგასამართ სადგურს (მათგან 79 კუთვნილს, 38 იჯარით აღებული და 1 შვილობილისგან იჯარით აღებული), რომელთაგან 10 არის კომბინირებული ბენზინის და გაზის სადგური, ხოლო 1 - მხოლოდ გაზგასამართი სადგური (საკუთარი).

V. ფინანსური და არაფინანსური საოპერაციო მაჩვენებლები



კომპანიის მთლიანი მოგება 2023 წელს 2022 წელთან შედარებით გაზრდილია 34.83%-ით, 53,311 ათასიდან 81,808 ათას ლარამდე. მარჯა ბრუნვაზე გაზრდილია 8.03%-დან 13.13%-მდე. ამასთანავე, გაზრდილია გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები 29,748 ათასიდან 31,919 ათას ლარამდე, ხოლო საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 22,773 ათასი ლარიდან 28,523 ათას ლარამდე.

V. ფინანსური და არაფინანსური საოპერაციო მაჩვენებლები (გაგრძელება)

ჯგუფის მთლიანი მოგება 2023 წელს 2022 წელთან შედარებით გაზრდილია 33.38%-ით, 56,674 ათასიდან 85,073 ათას ლარამდე. მარჯა ბრუნვაზე გაზრდილია 8.32%-დან 13.25%-მდე. ამასთანავე, გაზრდილია გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები 29,325 ათასიდან 33,591 ათას ლარამდე, ხოლო საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 25,533 ათასი ლარიდან 29,283 ათას ლარამდე.

2022 წელს კომპანიის/ჯგუფის დაბეგრამდე მოგებამ უწყვეტი ოპერაციებიდან შეადგინა 51,166 და 53,499 ათასი ლარი, შესაბამისად. ამის შემდეგ, 2023 წელს მოგება 16,174 ათასი (კომპანიის შემთხვევაში) და 18,641 (ჯგუფის შემთხვევაში) ათასი ლარით შემცირდა და 34,992 ათასი (კომპანიის შემთხვევაში) და 34,858 (ჯგუფის შემთხვევაში) ათასი ლარი შეადგინა.

მოგების შემცირებაში მნიშვნელოვანი წილი შეიტანა გაცვლითი კურსით გამოწვეული ზარალის ზრდამ ქართული ლარის გაუფასურების შედეგად (13,842 ათასი (კომპანიის შემთხვევაში) და 14,132 (ჯგუფის შემთხვევაში) ათასი ლარის საკურსო ზარალი წინა პერიოდთან შედარებით).



საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება დებიტორულ დავალიანებაზე, რომლის მიღებასაც ჯგუფი/კომპანია კლიენტებისგან ელოდება. ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება მოცემულია მოთხოვნის გაუფასურების რეზერვის გათვალისწინებით. ჯგუფის/კომპანიის მომხმარებლებს წარმოადგენენ საცალო და კორპორატიული მომხმარებლები. კლიენტების გადახდისუნარიანობის ისტორიიდან გამომდინარე, ჯგუფი/კომპანია გარკვეულ კლიენტებს ინდივიდუალურად აფასებს. კონტრაგენტებთან არსებული ნაშთები, რომლებიც ინდივიდუალურად არ რეზერვირდება და არ ხვდება ინდივიდუალური შეფასების კატეგორიაში, ფასდება ჯგუფურად. ჯგუფი/კომპანია კონსერვატიულად უშვებს, რომ 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების დროს დეფოლტის ალბათობა 100%-ია. ჯგუფური შეფასებისათვის ხელმძღვანელობა მხედველობაში იღებს ამოღების ხარისხის წარსულ გამოცდილებას შიდა და გარე წყაროებზე დაყრდნობით.

V. ფინანსური და არაფინანსური საოპერაციო მაჩვენებლები (გაგრძელება)

ჯგუფი/კომპანია მუდმივად ახდენს მოთხოვნების მონიტორინგს, აფასებს კონტრაგენტის ფინანსურ მდგომარეობას და იღებს შესაბამის საოპერაციო გადაწყვეტილებას, კრედიტის შეჩერების, პირობების შეცვლის, გადახდის მოთხოვნის და ა.შ. შესახებ. ამ რისკის სამართავად კომპანიაში შექმნილია ჯგუფი, გენერალური დირექტორის, საოპერაციო დირექტორის, გაყიდვების დირექტორისა და ფინანსური დირექტორის შემადგენლობით, რომელიც არაფორმალურად მართავს რეგულარულ შეხვედრებსა და განხილვებს, საკრედიტო რისკებთან და პორტფელთან დაკავშირებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ გარდა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული გაუფასურების რეზერვისა, დამატებითი რეზერვის შექმნის აუცილებლობა არ არის.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა კომპანიის შემთხვევაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 45,966 ათას ლარს (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 33,825 ათასი ლარი), ხოლო ჯგუფის შემთხვევაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 48,848 ათას ლარს (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 35,066 ათასი ლარი)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი გამომდინარეობს საწვავის კონკურენტული გარემოდან, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული თუ არაბრენდული ქსელები. საწვავის საცალო და კორპორატიული ბაზარი გამოირჩევა მაღალი კონკურენციით. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული ბენზინგასამართი სადგურები. ჯგუფი/კომპანია კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას ორივე სექტორში ცდილობს ფასისა და ხარისხის, აგრეთვე მომსახურებათა გამრავალფეროვნების გზით (თვითმომსახურება, სადგურებთან დაკავშირებული ბაზრები, კორპორატიული კლიენტებისათვის გადახდის სხვადასხვა ფორმა, ფასდათმობები და სხვა). ჯგუფი/კომპანია ყოველდღიურად აკვირდება ბაზარზე საფასო პოლიტიკას, კორპორატიული გაყიდვების პირობებს,

ფასდათმობებს, საკუთარ ზღვრულ მაჩვენებლებს და სათანადოდ რეაგირებს ბაზარზე. ჯგუფი/კომპანია აგრეთვე აქტიურად მუშაობს არსებული მომსახურებების გაუმჯობესებაზე, რათა მისი პროდუქცია მომხმარებლებისათვის მიმზიდველი და სასურველი გახდეს.

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა

ლიკვიდობა ჯგუფისთვის/კომპანიისთვის რისკია, პირველ რიგში, იმ დიდი სესხების გამო, რომელთაც წარსულში სესხის კაპიტალზე ფარდობა გაზარდეს. ჯგუფის/კომპანიის ოპერაციების ლევერიჯის დონის გასაუმჯობესებლად ხელმძღვანელობამ დაიწყო გვერდითი, არასაკვანძო აქტივების გაყიდვა. მიღებული სახსრები მიემართება ვალდებულებათა დაფარვაზე და ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს, მეტად კონცენტრირდეს საკვანძო საქმიანობაზე.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფმა/კომპანიამ შეამცირა დებიტორთაგან თანხების ამოღების დღეების რაოდენობა და ბუფერული მარაგების დონე, რამაც, თავის მხრივ, ახალი წყარო შექმნა ყოველდღიური ოპერაციების დაფინანსების უზრუნველსაყოფად. 2023 წელს საბრუნავ კაპიტალში გამოთავისუფლებული თანხები აგრეთვე მიემართა მოკლევადიანი სესხების დაფარვაზე.

ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს ჯგუფისთვის/კომპანიისთვის მაქსიმალურ ლიკვიდურობის რისკს. აღნიშნული 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიისთვის წარმოადგენს 144,851 ათას ლარს (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 158,771 ათასი ლარი), ხოლო ჯგუფისთვის წარმოადგენს 146,726 ათას ლარს (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 160,512 ათასი ლარი)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით ჯგუფში/კომპანიაში ფუნქციონირებს მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს ჯგუფის/კომპანიის ბაზებში, ბენზინგასამართ და გაზგასამართ სადგურებზე საწვავის ნაშთების, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს. ჯგუფი/კომპანია მარაგებს აკონტროლებს ყოველთვიურად (სადგურებზე) და ყოველკვირეულად (საწყოებში).

დამატებით, ავტოგასამართ სადგურებზე ფუნქციონირებს ავტომატიზაციის სისტემა, რომელიც აღჭურვილია რეზერვუარში საწვავის რაოდენობის ელექტრონული გამოზომველით. ავზის დაზიანების და საწვავის დაღვრის შემთხვევაში სადგურის მენეჯერს ან სხვა უფლებამოსილ პირს აქვს საშუალება, გამოავლინოს მსგავსი დაზიანება და მოახდინოს მასზე რეაგირება.

ჯგუფს/კომპანიას ასევე დაზღვეული აქვს მესამე პირის ქონებისა და ჯანმრთელობის პასუხისმგებლობა გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

VI. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი რისკებისა, ორი მთავარი რისკი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის/კომპანიის ოპერაციებზე, არის სავალუტო და შესასყიდი ნავთობის საერთაშორისო ფასის ცვლილების რისკი. სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ ჯგუფის/კომპანიის საბანკო სესხების უმეტესი ნაწილი არის აშშ დოლარში, ხოლო შემოსავლების მიღება ლარში (მიუხედავად იმისა, რომ ფასები გაცვლითი კურსის შესაბამისად იცვლება). გაცვლითი კურსის ცვლილება, მოცემული პროდუქტის შესასყიდი ფასის გათვალისწინებით, აისახება მის საცალო და კორპორატიულ სარეალიზაციო ფასებში, რომლებიც ბაზრის ყველა მონაწილეზე ვრცელდება.

შესასყიდი ნავთობის საერთაშორისო ფასი ყოველდღიურად განიცდის ცვლილებას და დგინდება ყოველდღიური პლაცის (Platts, European MarketScan, by S&P Global) მეშვეობით. პლაცის დადგენა ხდება ყოველდღიურად გარდა შაბათ-კვირისა და საბანკო დასვენების დღეებისა და იგი მოიცავს ერთი მეტრული ტონა მზა პროდუქტის ფასს. პროდუქტის შესყიდვა ხდება აშშ დოლარში, ხოლო საბოლოო პროდუქციის საცალო ქსელში და კორპორატიული რეალიზაცია ხდება მხოლოდ ლარში. თუმცა, ცხადია, ხშირად ხდება ფასის გადაანგარიშება „პლაცისა“ და გაცვლითი კურსის გათვალისწინების მიზნით. აღნიშნული რისკის დაზღვევა ხდება ნაწილობრივ, პროდუქტის შემოტანების წლის მანძილზე თითქმის თანაბარი გადანაწილებით.

VII. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შექმნა

კომპანიამ 2021 წლის განმავლობაში ოთხივე აქციონერისაგან პროპორციულად გამოისყიდა აქციები საწყისი ნომინალური ღირებულებით. გამოსყიდვის ტრანზაქცია 3 აქციონერისაგან დასრულდა 2021 წელსვე, ხოლო მეოთხე აქციონერისაგან 2022 წელს. დამატებით შემდეგი გამოსყიდვა ასევე განხორციელდა 2023 წელსაც, სადაც ასევე დაზუსტდა 2021 წლის გამოსყიდვის დეტალები (რომელთაც ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია).

VIII. სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული და საოპერაციო რისკები


ჯგუფის/კომპანიის ძირითადი შემოსავალი მიღებულია საწვავის რეალიზაციისაგან. საწვავის თვითღირებულება და სარეალიზაციო ფასი მნიშვნელოვნად იცვლება ყოველდღიურად. აღნიშნული რისკის გადაზღვევის მიზნით კომპანია ინარჩუნებს საშუალოდ ერთ თვეზე მეტი ვადის მარაგებს, რაც საკმარისია რომ მისი საფასო პოლიტიკა იყოს მიახლოებული ბაზარზე არსებულ ფასებთან.

საოპერაციო რისკების მართვისათვის ჯგუფს/კომპანიას დანერგილი აქვს როგორც ტექნოლოგიური პროცესები, ისე პერიოდული მონიტორინგის პროცესები და ხდება მონაცემების ხშირი შედარება/კონტროლი.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 20 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ

გენერალური დირექტორი _____ ვასილი ხორავა

ფინანსური დირექტორი _____ გიორგი ციმაკურიძე



VI. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი რისკებისა, ორი მთავარი რისკი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის/კომპანიის ოპერაციებზე, არის სავალუტო და შესასყიდი ნავთობის საერთაშორისო ფასის ცვლილების რისკი. სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ ჯგუფის/კომპანიის საბანკო სესხების უმეტესი ნაწილი არის აშშ დოლარში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში (მიუხედავად იმისა, რომ ფასები გაცვლითი კურსის შესაბამისად იცვლება). გაცვლითი კურსის ცვლილება, მოცემული პროდუქტის შესასყიდი ფასის გათვალისწინებით, აისახება მის საცალო და კორპორატიულ სარეალიზაციო ფასებში, რომლებიც ბაზრის ყველა მონაწილეზე ვრცელდება.

შესასყიდი ნავთობის საერთაშორისო ფასი ყოველდღიურად განიცდის ცვლილებას და დგინდება ყოველდღიური პლატის (Platts, European MarketScan, by S&P Global) მეშვეობით. პლატის დადგენა ხდება ყოველდღიურად გარდა შაბათ-კვირისა და საბანკო დასვენების დღეებისა და იგი მოიცავს ერთი მეტრული ტონა მზა პროდუქტის ფასს. პროდუქტის შესყიდვა ხდება აშშ დოლარში, ხოლო საბოლოო პროდუქტის საცალო ქსელში და კორპორატიული რეალიზაცია ხდება მხოლოდ ლარში. თუმცა, ცხადია, ხშირად ხდება ფასის გადაანგარიშება „პლატისა“ და გაცვლითი კურსის გათვალისწინების მიზნით. აღნიშნული რისკის დაზღვევა ხდება ნაწილობრივ, პროდუქტის შემოტანების წლის მანძილზე თითქმის თანაბარი გადაანაწილებით.

VII. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

კომპანიამ 2021 წლის განმავლობაში ოთხივე აქციონერისაგან პროპორციულად გამოსყიდა აქციები საწყისი ნომინალური ღირებულებით. გამოსყიდვის ტრანზაქცია 3 აქციონერისაგან დასრულდა 2021 წელსვე, ხოლო მეოთხე აქციონერისაგან 2022 წელს. დამატებით შემდეგი გამოსყიდვა ასევე განხორციელდა 2023 წელსაც, სადაც ასევე დაზუსტდა 2021 წლის გამოსყიდვის დეტალები (რომელთაც ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია).

VIII. სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული და საოპერაციო რისკები

ჯგუფის/კომპანიის ძირითადი შემოსავალი მიღებულია საწვავის რეალიზაციისაგან. საწვავის თვითღირებულება და სარეალიზაციო ფასი მნიშვნელოვნად იცვლება ყოველდღიურად. აღნიშნული რისკის გადაზღვევის მიზნით კომპანია ინარჩუნებს საშუალოდ ერთ თვეზე მეტი ვადის მარაგებს, რაც საკმარისია რომ მისი საფასო პოლიტიკა იყოს მიახლოებული ბაზარზე არსებულ ფასებთან.

საოპერაციო რისკების მართვისათვის ჯგუფს/კომპანიას დანერგილი აქვს როგორც ტექნოლოგიური პროცესები, ისე პერიოდული მონიტორინგის პროცესები და ხდება მონაცემების ხშირი შედარება/კონტროლი.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 20 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ

გენერალური დირექტორი _____ ვასილი ხორავა

ფინანსური დირექტორი _____ გიორგი ციმაკურიძე